საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
ია გაბედავა - კოლეგიის თავმჯდომარე
არჩილ ჩოფიკაშვილი - კოლეგიის წევრი
ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ი. ფ.
საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 19.03.2021
საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 013/21
საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. კ.-ის /სიითი № / მიმართ
საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. კ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2021 წლის 13 მარტს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ი. ფ.-მა და მოითხოვა ადვოკატ მ. კ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2019 წლის 20 დეკემბერს სადაზღვევო კომპანია „ე. ჯ.-თან“ გააფორმა ხელშეკრულება მისი კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალების და მის მართვასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევის მიზნით. სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, ი. ფ.-მა მისი ავტომანქანა იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე გადასცა მ. მ.-ს. 2020 წლის 5 თებერვალს მ. მ.-მა ვერ უზრუნველყო ავტომანქანის უსაფრთხო მართვა და შეეჯახა მის წინ მიმავალ ავტომანქანას, რომელიც დაზიანდა. მ. მ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის საფუძველზე 250 ლარით დააჯარიმეს. ი. ფ.-ის მოთხოვნის მიუხედავად, სადაზღვევო კომპანია ,,ე. ჯ.-მ“ უარი განაცხადა ავარიის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, სადაზღვევო კომპანიისგან უარის მიღების შემდგომ მიმართა ადვოკატ მ. კ.-ს, რომელიც დაჰპირდა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში

წარადგენდა სარჩელს და იბრძოლებდა, რომ სადაზღვევო კომპანია „ე. ჯ.-ს“ აენაზღაურებინა ი. ფ.-ისთვის ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზიანებით დამდგარი ზარალი. საჩივრის ავტორმა ადვოკატთან გააფორმა ხელშეკრულება და ადვოკატის სახელზე შეადგინა რწმუნებულება, ასევე ადვოკატს ჰონორარის სახით გადასცა 500 ლარი.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი მ. კ., როგორც სასამართლოში, ასევე დოკუმენტაციის შესაგროვებლად დაყავდა საკუთარი ავტომანქანით. ადვოკატმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა რამდენჯერმე, თუმცა სასამართლომ არც სარჩელი მიიღო და არც ადვოკატის მიერ წარდგენილი კერძო საჩივარი დააკმაყოფილა. სასამართლომ სარჩელზე დაადგინა ხარვეზი, რაც ადვოკატმა არ აღმოფხვრა. საჩივრის ავტორს უნდობლობა გაუჩნდა ადვოკატის მიმართ და აღნიშნული უთხრა მ. კ.-ს, რამაც ადვოკატის განაწყენება გამოიწვია, მან უარი განაცხადა საქმის გაგრძელებაზე და საჩივრის ავტორს დაუბრუნა დოკუმენტები. საჩივრის ავტორმა ადვოკატს მოსთხოვა 500 ლარის დაბრუნება, რაზედაც უარი განაცხადა ადვოკატმა და ი. ფ.-ს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა არ დაასრულა მისი საქმე. ი. ფ.-ის მოთხოვნაა, ეთიკის კომისიამ შეისწავლოს ადვოკატ მ. კ.-ის მოქმედებები და მის მიმართ შესაბამისი დისციპლინური ღონისძიება იქნეს გამოყენებული. ასევე, საჩივრის ავტორის მოთხოვნაა ადვოკატმა დაუბრუნოს მას ჰონორარის სახით გადაცემული თანხა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა მ. კ.-მ 2021 წლის 12 აპრილს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, ხოლო 2021 წლის 24 მაისს მონაწილეობა მიიღო საპროცესო კოლეგიის სხდომაში.

2.2 ადვოკატის განმარტებით, 2020 წლის აპრილის მეორე ნახევარში მიმართა ადვოკატმა თ. ს.-მა გაეწია იურიდიული დახმარება მისი შვილის მეგობრისთვის ი. ფ.-ისთვის. ადვოკატს გადასცეს საქმის მასალები და გაირკვა, რომ 2019 წლის 20 დეკემბერს ი. ფ.-სა და სადაზღვევო კომპანია „ე. ჯ.-ს“ შორის დაიდო ხელშეკრულება ავტოსატრანსპორტო საშუალების და მის მართვასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევის მიზნით. 2020 წლის 05 თებერვალს ი. ფ.-მა გააფორმა იჯარის ხელშეკრულება მ. მ.-თან ი. ფ.-ის საკუთრებაში არსებულ ავტოსატრანსპორტო საშუალების გაქირავების შესახებ. იმავე დღეს მ. მ.-მა ვერ უზრუნველყო უსაფრთხო მოძრაობის წესები და შეეჯახა მის წინ მიმავალ ავტომობილს, რომელიც ინერციით შეეჯახა პარკირების ზოლში ორ ავტომობილს. ი. ფ.-ის მანქანაზე მიყენებული დაზიანებების აღდგენა მოითხოვდა თვითღირებულების არანაკლებ ნახევარს. ი. ფ.-სა და მ. მ.-ს შორის სიტყვიერი შეთანხმების საფუძველზე, მ. მ.-მა აიღო ვალდებულება დაზიანებული ავტომობილის შეკეთების და აღდგენის ხარჯების დაფარვის თაობაზე. ამავე დროს, ი. ფ.-მა მიმართა სადაზღვეო კომპანიას სადაზღვეო თანხის ფარგლებში (3500 აშშ დოლარი) ზიანის ანაზღაურების თაობაზე, რაზეც მიიღო წერილობითი ფორმით უარი.

2.3 ადვოკატის განმარტებით, ვინაიდან საქმის მასალებში წარმოდგენილი იყო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საჯარიმო ქვითარი და სადაზღვეო კომპანიის უარი თანხის გაცემაზე, ადვოკატმა მიმართა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს განცხადებით. ამავე, დროს ადვოკატმა მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით. 2020 წლის 16 აპრილის განჩინებით, საქმე განსჯადობის წესით გადაეგზავნა

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. 2020 წლის 09 ივნისის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის პასუხით, საკითხის გადაწყვეტის მიზნით უნდა მიემართათ სასამართლოსთვის. ამის შემდეგ, ადვოკატმა მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით. თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით, ი. ფ.-ს უარი ეთქვა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. ადვოკატმა გაითვალისწინა განჩინებაში მითითებული ხარვეზები და შეიტანა განახლებული სარჩელი. 2020 წლის 28 მაისის თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებით სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარი ეთქვა მოსარჩელეს, რის გამოც ადვოკატმა მოამზადა კერძო საჩივარი და მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 28 სექტემბრის განჩინებით არ დაკმაყოფილდა კერძო საჩივარი. აღნიშნულის შემდეგ, ადვოკატმა ი. ფ.-ს განუმარტა, რომ ვეღარ შეძლებდა სამოქალაქო საქმეზე მასთან თანამშრომლობას, რადგან სასამართლო არ იღებდა მის მიერ შედგენილ სარჩელებს და ურჩია, რომ სხვა ადვოკატისთვის მიემართა. მ. კ.-მ ი. ფ.-ს დაუბრუნა საქმის მასალები განჩინებასთან და ყველა მტკიცებულებებთან, მათ შორის სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითრებთან ერთად.

2.4 გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ ადვოკატ მ. კ.-ს დაუკავშირდა ადვოკატი თ. ს. და სთხოვა შეხვედრა მის საცხოვრებელ სახლთან. ადვოკატ თ. ს.-ს თან ახლდა ი. ფ., მან სთხოვა მ. კ.-ს განემარტა, თუ რატომ არ იღებდა სასამართლო სარჩელს წარმოებაში. მ. კ.-მ აუხსნა თ. ს.-ს საქმის მსვლელობა და უთხრა, რომ თავად მიემართა სასამართლოსთვის, რაზედაც მან უარი განაცხადა და აიძულებდა მ. კ.-ს ახალი სარჩელი შეედგინა. ადვოკატმა გაამზადა სარჩელი იმის მიხედვით, რის შესაძლებლობასაც იძლეოდა საქმის მასალები და გამზადებული სარჩელი გადასცა ი. ფ.-ს ასლებთან ერთად. 2021 წლის 5 მარტს ი. ფ. დაუკავშირდა მ. კ.-ს და განუცხადა, რომ სასამართლომ კვლავ უარი განაცხადა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე, ასევე დაადანაშაულა ადვოკატი, რომ სარჩელი არ იყო სრულყოფილად შედგენილი, რის გამოც არ იღებდა მას სასამართლო. ი. ფ.-მა უთხრა ადვოკატს, რომ აღნიშნული მას სხვა ადვოკატებმა უთხრეს. მ. კ.-მ მიმართა საჩივრის ავტორს, რომ მიემართა იმ ადვოკატებისთვის, ვინც ეს უთხრა, რაზედაც ი. ფ.-ისგან მიიღო სიტყვიერი შეურაცხყოფა, თავად კი არ შეპასუხებია, რადგან შედიოდა პენიტენციურ დაწესებულებაში მსჯავრდებულთან შესახვედრად. დაწესებულებიდან გამოსვლის შემდეგ, მ. კ.-ს მის ტელეფონში დახვდა ი. ფ.-ისგან მიღებული მუქარისა და შანტაჟის შემცველი შეტყობინებები. ადვოკატმა დაურეკა საჩივრის ავტორს და უთხრა, რომ ამ შეტყობინებების გამო შესაბამის ორგანოებს მიმართავდა. მეორე დღეს, 2021 წლის 06 მარტს ადვოკატს სატელეფონო საშუალებით დაუკავშირდა ი. ფ.-ის დედა, ადვოკატმა განუმარტა მას, რომ 15 წუთში გადაურეკავდა. ამ პერიოდში ადვოკატს ჰქონდა შეხვედრა მის კლიენტთან, რის გამოც ვერ შეძლო 15 წუთში დარეკვა ი. ფ.-ის დედასთან, შეხვედრის დასრულების შემდეგ კი ადვოკატმა ტელეფონში ნახა დედის მხრიდან გამოგზავნილი მუქარის შემცველი და შეურაცხმყოფელი შეტყობინებები. მ. კ.-მ გადაურეკა საჩივრის ავტორის დედას, აუხსნა საქმის მდგომარეობა და უთხრა, რომ პრეტენზიები უნდა ჰქონოდათ მასთან ვინც დაუზიანა მანქანა და ვინც არ ანაზღაურებდა ზიანის თანხას. ადვოკატმა საპასუხოდ მიიღო აგრესია, ი. ფ.-ის დედამ მას მოსთხოვა საქმის გაგრძელება და გადახდილი თანხის - 500 ლარის დაბრუნება, ასევე მიაყენა შეურაცხყოფები.

2.5 ადვოკატის განმარტებით, ი. ფ.-თან ურთიერთობის გაფუჭების მიუხედავად, რამდენიმე დღეში კვლავ მიმართა მან ახალი სარჩელის შედგენის მოთხოვნით. დიდი თხოვნის შემდეგ,

ადვოკატმა საკუთარი სახსრებით მეოთხედ შეადგინა სარჩელი და საკუთარი ხელმოწერის და მასზე წარმომადგენლის აღნიშვნის გარეშე გადასცა საჩივრის ავტორს. 2020 წლის სექტემბერში დაუკავშირდა ი. ფ. საჩივრის ავტორს და მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. ადვოკატს ჰქონდა სურვილი მიემართა საგამოძიებო ორგანოებისთვის მუქარის შემცველი შეტყობინებების გამო, რაზედაც საქმის კურსში ჩააყენა ადვოკატი თ. ს.. ამ უკანასკნელმაც ურჩია, რომ მიემართა შესაბამისი ორგანოებისთვის, თუმცა მოგვიანებით მ. კ.-მ მიმართვა გადაიფიქრა.

2.6 ადვოკატი მიიჩნევს, რომ მას არ დაურღვევია ეთიკის კოდექსის მოთხოვნები. ის კეთილსინდისიერად ემსახურა საჩივრის ავტორს, მიუხედავად მისი მხრიდან განხორციელებული სამართლებრივი მოქმედებებისა, არ დადგა ი. ფ.-ისთვის სასურველი სამართლებრივი შედეგი, რაც არ იყო გამოწვეული ადვოკატის უმოქმედობით. ადვოკატმა საჩივრის ავტორისგან მიიღო მხოლოდ 500 ლარი, რაც გათვალისწინებული იყო პირველ ინსტანციაში მომსახურებისთვის, თუმცა ეს თანხა სრულად მოხმარდა ი. ფ.-ის საქმეზე სამართლებრივი დოკუმენტაციის შედგენას და ყველა იმ ხარჯებს, რაც ადვოკატმა გასწია, როგორც საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისთვის მიმართვის დროს, ასევე პირველ ინსტანციასთან და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებთან ურთიერთობისას. ადვოკატმა არ აიღო უფრო დიდი რაოდენობის თანხა, რადგან ი. ფ. ადვოკატთან ახლობელმა მიიყვანა და ადვოკატმა მხოლოდ საქმის წარმოების მიზნით აუცილებელი თანხა გამოართვა. ადვოკატი განმარტავს, რომ მან სრულად გამოიყენა კლიენტისგან მიღებული თანხა მისი საქმის საწარმოებლად, რის გამოც მიიჩნევს, რომ არ წარმოეშვა გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ვალდებულება.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი მ. კ. არის „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრი /სიითი N/, სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი.

3.2 ი. ფ.-მა ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2021 წლის 19 მარტს.

3.3 სადაო ქმედება განხორციელდა 2020-2021 წლებში. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ მ. კ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების“ 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატ მ. კ.-ის მიერ შედგენილ სარჩელებს წარმოებაში არ იღებდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, ვინაიდან ადვოკატმა არ გამოასწორა მათზე დადგენილი ხარვეზები.

5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ მ. კ.-ის მიერ შემდეგი ნორმების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 5.ა მუხლი: „ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები."
>
> ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 მუხლი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა განახორციელოს წარმომადგენლობა."

5.3 ადვოკატ-კლიენტს შორის ურთიერთობა წარმოიშობა შეთანხმების საფუძველზე, რომელიც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, შეიძლება დაიდოს, როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ფორმით. ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო მომსახურების გაწევისას კლიენტის ინტერესები წარმოადგინოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საშუალებით, საკუთარი ცოდნის და გამოცდილების გამოყენებით, რათა კლიენტმა მიიღოს კვალიფიციური და კეთილსინდისიერი მომსახურება. ამ მიზნით, ადვოკატი ვალდებულია კლიენტის სახელით და მისი ინტერესების დასაცავად, შერჩეული სტრატეგიის შესაბამისად განახორციელოს მინდობილ საქმესთან დაკავშირებული ყველა სამართლებრივი მოქმედება.

5.4 საადვოკატო საქმიანობა, ადვოკატის მოვალეობები და კლიენტის ინტერესების დაცვა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონით (მუხლი – 2,5,6.) არ მოიცავს მხოლოდ კლიენტის ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს მის დასაცავად ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით, მათ შორის მოამზადოს საქმე სასამართლოზე განსახილველად წარსადგენად და მოიპოვოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებანი, განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ქმედება ამ სახის მტკიცებულების მოპოვებისა და სასამართლოში წარდგენისათვის" (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 23.09.2010 წლის გადაწყვეტილება, საქმე N066/10).

5.5 მხარეთა ახსნა-განმარტებების მიხედვით, ადვოკატ მ. კ.-ს ი. ფ.-ის ინტერესები უნდა დაეცვა სამოქალაქო საქმეზე, კერძოდ მას სარჩელი უნდა წარედგინა სადაზღვევო კომპანია „ე. ჯ.-ს" მიმართა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით. ადვოკატმა რამდენჯერმე მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სარჩელით, თუმცა ყველა მის მიერ შედგენილი სარჩელი სასამართლომ წარმოებაში არ მიიღო.

5.6 ი. ფ.-მა ადვოკატ მ. კ.-ის წარმომადგენლობით პირველად თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მიმართა 2020 წლის 16 აპრილს. აღნიშნული სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 2020 წლის 29 აპრილს. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 04 მაისის განჩინებით ი. ფ.-ს უარი ეთქვა სარჩელის განსახილველად მიღებაზე. სასამართლოს განმარტებით მოსარჩელეს სრულყოფილად არ ჰქონდა გადმოცემული სასარჩელო მოთხოვნასთან მიმართებით ფაქტობრივი გარემოებები და მოსაზრებები მტკიცებულებასთან

დაკავშირებით. საქმეში ასევე წარმოდგენილია მ. კ.-ის მიერ შედგენილი მეორე სარჩელი, რომელიც 2020 წლის 27 მაისით თარიღდება. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 28 მაისის განჩინებით ი. ფ.-ს კვლავ უარი ეთქვა აღნიშნული სარჩელის განსახილველად მიღებაზე, რადგან სარჩელში დასაზუსტებელი იყო სასარჩელო მოთხოვნა და ფაქტობრივი გარემოებები. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 19 თებერვლის განჩინებით ი. ფ.-ს კიდევ ერთხელ ეთქვა უარი 2021 წლის 16 თებერვალს წარდგენილი სარჩელის განსახილველად მიღებაზე. სასამართლომ მიუთითა, რომ სარჩელში არ იყო აღმოფხვრილი სასამართლოს მიერ სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის მიზეზები.

5.7 ეთიკის კომისია ზემოთ აღნიშნული გარემოებების საფუძველზე აღნიშნავს, რომ საჩივრის ავტორის პრეტენზია დაკავშირებული ადვოკატის მიერ შედგენილი სარჩელის შინაარსთან და მის ხარისხთან, რომლის შემოწმების უფლებამოსილება ეთიკის კომისიას არ გააჩნია. ადვოკატის პროფესიის დამოუკიდებლობიდან გამომდინარე ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებებისა და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება. კოლეგიას არ აქვს შესაძლებლობა მიუთითოს სამართლებრივი დოკუმენტაციის ხარისხზე, შეაფასოს მისი შინაარსი და მიუთითოს ადვოკატს, როგორ შეიძლებოდა უკეთ დასაბუთებულიყო საპროცესო დოკუმენტი. ეთიკის კომისიის მხრიდან აღნიშნული მოქმედებების განხორციელების შემთხვევაში სახეზე იქნებოდა ადვოკატის საქმიანობაში ჩარევა, რაც დაუშვებელია ნებისმიერი პირის მხრიდან.

5.8 ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საპროცესო კოლეგია ვერ შეაფასებს ადვოკატის მიერ შედგენილი სარჩელების შინაარსს. შესაბამისად, საჩივრის ავტორის პრეტენზიები სასამართლოს მიერ მიღებული განჩინებით დადგენილი ხარვეზების გამოსწორების თაობაზე ვერ შეფასდება, რაც გამორიცხავს ეთიკის კომისიის მხრიდან ადვოკატის მოქმედებებში ადვოკატთა შესახებ 5.ა მუხლის და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 მუხლის დარღვევის დადგენას.

5.9 საჩივრის ავტორის მეორე პრეტენზია მდგომარეობს შემდეგში: ადვოკატმა მ. კ.-მ არ დაასრულა ი. ფ.-ის საქმე, უარი განაცხადა სამოქალაქო საქმეზე დაწყებული მუშაობის გაგრძელებაზე და არ დაუბრუნა მას ჰონორარის სახით გადახდილი 500 ლარი. საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ მ. კ.-ის მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> „კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან წარმოების პროცესში. კლიენტისათვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი“.

5.10 იმ შემთხვევაში თუ ადვოკატი ბოლომდე ვერ ასრულებს საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურებას იმ მოცულობით და ფარგლებში, რასაც კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა, ადვოკატს ეკისრება ვალდებულება გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისთვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი, ხოლო დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს.

5.11 „საადვოკატო მომსახურების ოდენობა მხარეთა შეთანხმების საგანს შეადგენს და

დისციპლინური პასუხისმგებლობის სფეროს მიღმა იმყოფება. პროფესიული ქცევის სტანდარტის სფეროს შეადგენს არა გასამრჯელოს ოდენობა, არამედ ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, შეთანხმებით გათვალისწინებული საადვოკატო მომსახურების მოცულობისა და ფარგლების დაცულობა... იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისაგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური, ხოლო წარმომადგენელმა, ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი, ხოლო დარჩენილი თანხა უნდა დაუბრუნოს კლიენტს". (2016 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილება, საქმეზე დს-შ/17-16).

5.12 მხარეთა ახსნა-განმარტებებითა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით დგინდება, რომ ადვოკატმა საჩივრის ავტორის ინტერესების დაცვის მიზნით მიმართა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს და რამდენჯერმე წარადგინა სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოში, თუმცა სასამართლომ არცერთ ჯერზე არ მიიღო საქმე წარმოებაში. საჩივრის ავტორმა ადვოკატის მიმართ დაკარგა ნდობა, რის გამოც ადვოკატმა უარი განაცხადა საქმის გაგრძელებაზე. ამასთანავე, ადვოკატი მიუთითებს, რომ მან ვერ შეძლო თბილისის საქალაქო სასამართლოს მითითებების შესაბამისად სარჩელის შედგენა, რის გამოც საჭიროდ ჩათვალა ი. ფ.-ისთვის სხვა ადვოკატისთვის მიმართვის საშუალება მიეცა.

5.13 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და არ უნდა განახორციელოს ისეთი მოქმედება, რითაც შესაძლებელია ზიანი მიადგეს კლიენტს. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატის მოქმედებებმა არ გამოიწვია კლიენტისთვის ზიანის მიყენება, რადგან კლიენტს არ შეეზღუდა სასამართლოსთვის მიმართვის უფლება (სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმა ხელს არ უშლის მოსარჩელე მხარეს ხელახალი სარჩელით მიმართოს სასამართლოს). გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ საჩივრის ავტორს ადვოკატის მიმართ დაეკარგა ნდობა, ის არ ენდობოდა ადვოკატის მიერ შედგენილ სამართლებრივ დოკუმენტაციას. ადვოკატიც თავის მხრივ აღიარებს, რომ მან ვერ შეძლო სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის გამოსწორება, რის გამოც უარი განაცხადა საქმის გაგრძელებაზე. მხარეთა შორის ურთიერთობის დასრულების დროს კლიენტი არ დარჩენილა საფრთხის ქვეშ, მას ჰქონდა შესაძლებლობა მიემართა სხვა ადვოკატისთვის, რაც მან არ განახორციელა და მიუხედავად ადვოკატ მ. კ.-ის მიმართ ნდობის დაკარგვისა, მას მაინც სურდა კვლავ იგივე ადვოკატს გაეგრძელებინა მისი საქმის წარმოება.

5.14 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ მ. კ.-ის მხრიდან ურთიერთობის გაგრძელებაზე უარი ადვოკატის კეთილსინდისიერ დამოკიდებულებაზე მიუთითებს, რადგან მიზანშეწონილია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დასრულება მაშინ, როდესაც ადვოკატი მიიჩნევს, რომ მან ამოწურა ყველა შესაძლებლობა კლიენტის ინტერესების დასაცავად. კლიენტის საქმეზე აღებული ვალდებულების შესასრულებლად და ადვოკატის მხრიდან სარჩელით მიმართვის არაერთი მცდელობის მიუხედავად, სასამართლომ არ მიიღო საქმე განსახილველად. ადვოკატმა კლიენტს უფლება მისცა სხვა ადვოკატის მომსახურებით ესარგებლა, რადგან ი. ფ.-ს შესაძლებლობა ჰქონოდა აღედგინა მისი დარღვეული უფლება. ამასთანავე, კლიენტმა ადვოკატის მიმართ დაკარგა ნდობა, რაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობაში, მის გარეშე რთულია საქმიანი

ურთიერთობის გაგრძელება. კლიენტს უნდა ჰქონდეს რწმენა, რომ ადვოკატი კეთილსინდისიერად მიუდგება მისდამი მინდობილ საქმეს და დაიცავს მის ინტერესებს, რაც მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორს აღარ ჰქონდა.

5.15 საჩივრის ავტორი მოითხოვს ადვოკატისგან სრულად 500 ლარის დაბრუნებას, ადვოკატის განმარტებით კლიენტისგან მიღებული თანხა მან სრულად გახარჯა, რის გამოც არ წარმოეშობა თანხის დაბრუნების ვალდებულება.

5.16 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ კლიენტისთვის თანხის დაბრუნების საკითხი არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში. თანხის დაბრუნება წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივი მოთხოვნის საფუძველს, რისთვის საჩივრის ავტორს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს. ეთიკის კომისიას კი აქვს უფლებამოსილება მიუთითოს ადვოკატს, რომ მას ეკისრება ვალდებულება გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისთვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი, ხოლო დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს იმ შემთხვევაში, როდესაც ადვოკატი სრულად ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას.

5.17 კლიენტის წარმომადგენლობის პროცესში ადვოკატმა მ. კ.-მ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელით, რომელიც 2020 წლის 16 აპრილის სასამართლოს განჩინებით განსჯადობის წესით გადაეგზავნა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას; 2020 წლის 09 ივნისს მიმართა საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს; ადვოკატმა 2020 წლის 27 მაისს კვლავ მიმათა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას ახალი სარჩელით; ადვოკატმა თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინების გასაჩივრების მიზნით მოამზადა კერძო საჩივარი და მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას. ამის შემდეგ, ადვოკატმა კვლავ მოამზადა ახალი სარჩელი, რომელიც ი. ფ.-მა 2021 წლის 16 თებერვალს საკუთარი ხელმოწერით წარადგინა სასამართლოში.

5.18 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატის მხრიდან განხორციელებული მოქმედებები და კლიენტის საქმის წარმოების პროცესში გაწეული ხარჯი ადვოკატის მიერ მიღებული თანხის პროპორციულია. შესაბამისად, მხარეთა ახსნა-განმარტებითა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე კოლეგია ვერ ადგენს აშკარა შეუსაბამობას ადვოკატის გაწეულ მომსახურებასა და ადვოკატის მიერ მიღებულ თანხას შორის, რის გამოც არ დგინდება ადვოკატ მ. კ.-ის მხრიდან ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.15 მუხლის დარღვევა.

5.19 ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, არ დგინდება ადვოკატ მ. კ.-ის ქმედებაში დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი, რის გამოც ადვოკატთა მიმართა არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30–ე მუხლის მე–2 პუნქტით, 31–ე მუხლით და 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №013/21 ადვოკატ მ. კ.-ის მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/